ინვესტირება სუფსის ტერმინალის გარშემო განლაგებულ სკოლებში (ISAST)

პროექტი “ინვესტირება სუფსის ტერმინალის გარშემო განლაგებულ სკოლებში” დაფინანსებული იყო BP-ისა და მისი პარტნიორების ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, სამხრეთ კავკასიის მილსადენისა და საქართველოს მილსადენის კომპანიების მიერ.

პროექტის ხანგრძლივობაა შეადგენდა 20 თვეს (02/2007-09/2008). პროექტი განაახორციელა “ქეა საერთაშორისო კავკასიაში”-მ ორ ადგილობრივ არასამთავრობო პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად – “კივიტას გეორგიკა” და “პარტნიორები-საქართველო”.

პროექტის მიზანი იყო 2008 წლის 30 სექტემბრისთვის სუფსის ტერმინალის მიმდებარე სკოლებში მოზარდებისთვის ხარისხიანი საგანმანათლებლო სისტემის უზრუნველყოფა.

პროექტის სამიზნე ჯგუფები: ლანჩხუთის რაიონის სოფლების წყალწმინდის, ღრმაღელესა და სუფსის საჯარო სკოლების მოსწავლეები, სამეურვეო საბჭოების წევრები და მასწავლებლები, ასევე ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები.

პროექტის შედეგები:

სუფსის ტერმინალის გარშემო განლაგებულ სკოლებში გაძლიერდა სამეურვეო საბჭოების წარმომადგენლების სკოლების მმართველობითი შესაძლებლობები;

ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლებმა ჩაუტარეს ტრენინგები რაიონის სხვა სკოლებში მოქმედ სამეურვეო საბჭოების წარმომადგენლებს;

გამოვლინდა სამიზნე სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტები, შემუშავდა და განხორციელა სკოლების ინფრასტრუფქტურის განვითარების გეგმები;

თემის მობილიზაციის გზით მოხდა სუფსის ტერმინალის გარშემო განლაგებული სამი სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;

ჩამოყალიბდა ეკოლოგიური კლუბები, სადაც დაახლოებით 75 მოსწავლემ შეიძინა გარემოსდაცვით ცოდნა და მიიღო მონაწილეობას სხავადასხვა გარემოსდაცვით ღონისძიებებში (ბანაკები, ღია კარის დღეები, დასუფთავების აქციები და ა.შ.);

ეკო-კლუბების წევრების მიერ მომზადდა და განხორციელდა 6 გარემოსდაცვითი მიკრო-საგრანტო პროექტი;

გაუმჯობესდა ლიდერული, გენდერული და კონფლიქტების მართვის უნარ-ჩვევები ახალგაზრდებში.

შენიშნა: პროექტი ფინანსებული იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის, სამხრეთ კავკასიის მილსადენისა და საქართველოს მილსადენის კომპანიების მხარდაჭერით. ვებ-გვერდსა და პუბლიკაციებში გამოთქმული აზრები ეკუთვნის CARE-ს და არ ასახავს BP-ისა და მისი პარტნიორების ოფიციალური შეხებულებას.